ა 402
1908/2

ფასი ყველგან 10 კ.

აკაკი

გამოც. 1. საიუბილეო სურათებიანი ალმანახი 1908 წ.

1137

აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეის გამო.

მეცხრამეტე საუკუნის რუსთველს

აკაკის

„სულით და გულით მოძღვნილი
მცირედიც შეიწირება.“
აკაკი.

მდელოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე—ტურფა იასა,
და სურნელება, ელფერი,
კოკობ ვარდს, გულ-მკერდ ღიასა,
სიმშვენიერე—გაზაფხულს,
ტკბილი ხმა, კილო—ბულბულსა;
და სიხალისე—ნაკადულს,
კიდე ნაპირებ შემკულსა;
ციმციმი—მალხაზ დილის ცვარს,
კაშკაში შუქი—მთვარესა,
და ბრწყინვალება—დიად მზეს,
ლაჟვარდში მოელვარესა...
მთელი სიტურფე ბუნების,
შეკკარი თაიგულათა,
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულათა!
ნიშნათ პატივის ცემისა,
მიიღე, მამათმთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებავ, ჯავარო!

ვ. რუხაძე*).

აკაკის

როგორც ბერ-მუხა მრავალ-წლოვანი,
მედიდურ ტოტებ გადატყორცნილი,
ქართველ მგოსანთა ჩრდგ-ბუჩქნარებში
სდგეხარ მზით ქოჩორ გადაკოცნილი...
სდგეხარ ამაყად... ტ შუბლს პიტალოს
გვირგვინთ გადგას წმინდა ჯაღარა,
თითქო პირქუშმა ცამ, ბებერ მუხას
თოვლისა ფერფლი გადმოგაყარა...
საგაზაფხულო გრილი ნიავი,
პირველ შენს ტოტებს ეალერსება
და წრფელი გრძნობით გატაცებულსა
იმედით ტკბილით გული გევსება...
მყისვე შლის ფრთებსა გიჟი ოცნება
და ისმის ჟღერა მწყობრი სიმების,
გრძნობის წარმტაცი მშვენიერება,
ნეტარების ცრემლთ გამაწვიმების...
მაგრამ, როდესაც იმავე ტოტებს
ზამთრისა სუსხი ჩამოუქროლებს,
ნაღველ და ცრემლში ნალესი გრძნობა
მწუხარე ხმებით აკვნეს-ათრთოლებს...
ხან ცაში აჰქავს საგალობელი,
ხან თვით ქვესკნელად დაედინება,
თუმცა გულს ჩაგრულს, სულს დაობლე-
ნუგეშს სხივათ კვლავ ეფინება. | ბულს
მე მიყვარს იგი ორივე ჰანგი,
სიყრმითვე შეზრდილ შენახორცები,
სათუთი გრძნობით შეზავებული,
ტკბილ-ხმოვანებით გასაოცები.
ბავშვობიდანვე გულს დამქდეევია
ის, ცრემლ-ნაღველში ნაწრთობ-ნალესი,
სამშობლო ქვეყნის ლხინი და კვნესა
ჩანგისა შენის ამონაკვნესი.
მიყვარს მე შენი ფოთოლთ შრიალი,
ეგ ტკბილი ენა, ენა ქართული,
მისი სიმარტივ-სიმშვენიერე,
მჭიდროთ ჩანასკულ-გადახლართული.
და არვის ძალუძს წარხოცოს იგი,
რაც უკვე მტკიცეთ გულს აღბეჭდილა,
რადგან ის იყო ბავშვობის ხანა,
ის იყო ჩემი ცხოვრების დილა...
მირბის დრო, წელი წელიწადს მისდევს,
ცხოვრების სახე მრავალფერდება,
მაგრამ ეს გრძნობა გულის სიღრმეში
არც იცვლის ფერსა, არცა ბერდება.
და როს, ხანდის-ხან, მგოსნის გოდება
ეხამუშება და მიჩხლეტს სმენას,
ის ძველი გრძნობა და მოგონება
სასაყვედუროთ მიბორკავს ენას.
დღეს, როცა მთელი ამერ-იმერი
ერთხმათ, ერთპირათ, ვით ერთი ჯარი
თავს იყრის შენი სახელის ირგვლივ,
რომ დაგიფასოს ნამოქმედარი,
მეც მსურს საერთო სიხარულის ხმას
გულის-თქმა ჩემი შემოუერთო
და შევევედრო ზესთა მეუფეს:
„შენ გვიდღეგრძელე აკაკი, ღმერთო!“

ეშმაკი.

აკაკის

(50 წლის იუბილეს გამო)

იმ დროს, როს კიდით-კიდემდე
წყვდიადი გადაშლილიყო,
სუსტობდა რიცხვი მომკალთა,
თუმცა სამკალი დიდ იყო;
როს უკუნეთით ხარობდენ
ბოროტებისა ძალები
და ხალხის გულში ჩაერჯოთ
მათ სისხლიანი ბრჭყალები;
როს უმეცრებას, სიავეს
ფესვი გაედგა ყველგანა
და მათთან საბრძოლველათა
მუშაკთ ითხოვდა ქვეყანა,—
მაშინ ჩამოჰკარ ღვთიურ ჩანგს,
აამეტყველე სიმები,
ცეცხლი დაჰკვესე ბნელაში,
გადმოაფრქვიე სხივები.
გული აძგერე სიმართლით,
ცრემლში გალესე ნაღველი,
შიგ ამოაწე კალამი,
იმდენ ვაების მნახველი
და ქნარი აამკვნესარე
ტკბილ-მოკარგული ენითა,
ხალხური ენით ამღერე,
გულზე სიამის მფენითა!..
და დღეს კი თუმცა დაგთოვა,
წვერი შეგექნა ჭაღარა,
მარა, კვლავ გმირებს დაეძებს
შენი დაფი და ნაღარა!..
კვლავ გული გიძგერს იმედით,
ჯმუნვა არ გიპყრობს, აღარა!..
და კვლავ ჰქუხს შენი ტკბილი ხმა,
მჩქეფრი, მალი და ანკარა...
ვაშა, შენსა ქნარს ძლიერსა,
გულზედა ჟანგის მწმენდელსა,
ბოროტებისა მკაცრსა მტერს
და სიყვარულის მთესველსა!..
ვაშა ძუძუებს, შენს აღმზრდელს,
„ვაშა ერს, შენსა ნშობელსა
და ძეგლათ“—შენი სახელი,
უკვდავი ამა სოფელსა!

კ. გოგოლაძე.

მსცოვან მგოსანს აკაკის!

(მისი 50 წლის იუბილეის გამო)

ერის გუშაგს, გულწრფელ მუშაკს,
ქართველთ მგოსანს სახელოვანს,
თავდახრილი სალამს ვუძღვნი,
როგორც შვილი მამას მხცოვანს!
ვუსურვებ, რომ ის სამშობლოს
კიდევ დიდხანს მსახურებდეს:
„აწმტკიცებდეს აზრსა წმინდას
და გულს გრძნობით ახურებდეს“!..
მრავალ-ტანჯულ-განაწამებს
ჩვენს ხალხსა და ჩვენს ქვეყანას,
დაე ის კვლავ უმღერიდეს
საფხიზლებელ „იავ-ნანას“!
ნახევარი საუკუნე
მსახურებდა ის ამ საგანს,
სანეტარო ხმებს უწყობდა
თავის ჩანგს და თავის ებანს,
მაგრამ ერთხელაც არ გვსმენია
უიმედოთ მისი ბღერა,
ერთხელ-ც კი არ შემკრთალა
მისი მწყობრი ჩანგის ჟღერა...
„არ მომკვდარა, მხოლოთ სძინავს...
გაიღვიძებს... აღსდგებაო...
ოდ დღეს „ქედზე მიჯაჭვული“
კვლავ დევგმირი გახდებაო!“
აი, როგორ უმზერდა ის
ჩვენს ბედსა და მომავალსა!
მის ცხოველ შუქს იმ თავითვე
უსწორებდა რწმენით თვალსა.
„არ მომკვდარა!“.. ხომ გამართლდა!
ნელნელ იძრობს ძილის საბანს,
ემზადება, რომ შეუდგეს
ცხოვრებისა მძიმე ჭაპანს!

---

*) ამ ლექსით დღეს მიულოცავენ იუბილიარს თვით ავტორი და მისი ლექსთა კრებულის „ცისკრის“ გამომცემელი ის. კვიცარიძე.

ესეც მგოსნის მრწამსი არის,
უკვდავია მისი მცნება
და მასთანვე უკვდავებით
თვით მგოსანიც იმოსება!..
მაშ, ტკბილ მრავალ ჟამიერთან
მეცა ვსვამ ამ სადღეგრძელოს:
„გაუმარჯოს, ჩვენს აკაკის,
და იმის ქნარს სასახელოს!“...

ნ. ზომლეთელი.

მხცოვან მგოსანს აკაკის.

დღეს ივერია თვის სმენის დამტკბობს
ორმოცდა ათ წელს მომღერალ მგოსანს,
მადლობას უძღვნის, და გუნდრუკს უკმევს
სპეტაკ ჰალარას ღვაწლით სხივოსანს!

მეც მინდა აწმყოს ნარ მოყრილ გზიდან
ალერსის გრძნობა მოვწყვიტო გულსა,
და კრძალვით სავსემ შემოვახვიო
მხცოვანს სიბერით ათრთოლებულსა!

მისი ჩონგურის სიმების ჟღერა
ოფლის სავანეს და საბინადროს,
გლეხის გაღეღილ მკერდს შეჰხვევია
ტკბილ საღიღინოთ ყანაში მკის დროს!

პაწა ქართველსაც ჯერ ისევ ჩვილსა,
როს აკვანს აქეთ არ ჰქონდა ბინა,
დედის ძუძუსთან ერთათ სწვდენია
ამ სიმთა ძღვენი: ნაზი „ნანინა“!

ქართველი ქალიც როს შესაბრალი
შვილის ლაჩრობით გამწარებულა,
ქნარი ფრთა სხმული მისის გულიდან
მწველის ქვითინით აცრემლებულა!

მწირთა სამყოფშიც გადაფრენილა
ვარსკვლავთ გუშაგი მუზა დიადი,
კვესი გაუკრავს მოხუცის გულში
და გაუფანტავს ირგვლივ წყვდიადი!

ხანაც იარით გამწარებულ ხმას
ჩანგში ჩაურთავს: „უკანასკნელი“,
მაგრამ კიდევ სდგას და ქართველთ ტრფობათ
აღმართულია მრთოლავი ხელი!

კვლავაც ჰგიებდეთ ტკბილო მოხუცო
წარსულის ნაშთო, მისო მშვენება,
და გულით ვნატრობ მომავლის სხივმაც
რომ დაგიმშვენოთ თქვენ განსვენება!...

რ. ლეჩხუმელი.

აკაკის იუბილეის გამო.

ჩემო სულის დგმავ! შენი მგოსანი
სიმღერას მღერის უკანასკნელსა,—
გაეხმაურე, მოეფერე მას,
სიტყვას ნუ ეტყვი გულის მომკველსა!

მან აღგვამაღლა, მისმა ჩონგურმა
ხანგრძლივ გვიმღერა ღვთიური ხმები,
ზოგი ნაგრძნობი დატანჯულ გულის,
ზოგიც წარსულის დანავალები.

ნესტან-დარეჯან თუმც კვლავ ტყვეთა ჰყავთ,
ტურფა, მფლობელი მამაც გულების,
მაგრამ მგოსანი კვლავ უმღერს იმას,
კვლავ იწვევს დარაჯთ თავისუფლების!

ჩვენც დავემზადნეთ!.. ფიცის ელფერი
მივსცეთ დღევანდელ დღესასწაულსა—
და ღირსეული პასუხი ვუთხრათ
ერის დიდებას და სამკაულსა!..

იასამანი.

მოკლე ბიოგრაფია
აკაკი წერეთლისა.

აკაკი წერეთელი დაიბადა ს. საჩხერეში (შორაპნის მაზრა, ქუთაისის გუბერნია) 1840 წელს ივნისის 9-ს.

პატარა აკაკი, ჩვეულებ-სამებრ, მშობლებმა აღსაზრდელათ გლეხის ოჯახში მიაბარეს სოფელ სავანეში, სადაც მან დაჰყო ვიდრე ხუთი წლისა შესრულდებოდა. როცა ხუთი წლისა შეიქნა, მშობლებმა კაკო ძიძას მოაშორეს და სახლში მოიყვანეს, რამაც პატარა აკაკიზე პირველათ არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

პატარა კაკოს წერა-კითხვა და სხვადასხვა ლოცვები დედამ შეასწავლა სახლში. ქაღალდის უქონლობის გამო ხარის ბეჭზე აწერინებდა და ისე ასწავლიდა. წერა-კითხვას როგორც თავის კაკოს, აგრეთვე მის ტოლ-ამხანაგ სოფლის პატარაებსაც. აკაკის დედა არ იყო ზოგიერთი კნეინებივით პრანჭია და უსაქმური ქალბატონი, არამედ იყო ერთობ კეთილი შრომის მოყვარე და ღვთისნიერი ადამიანი. მწიგნობრობასთან ერთად მას მშვენივრათ შეესწავლა შინაური ექიმობა, რის გამო მოსამახურეებს და მეზობლებს ავათმყოფობის დროს გულმტკივნეულობით უვლიდა და უფასოთ ექიმობდა. სამაგიეროთ აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, ერთობ სასტიკი და ამაყი თავადიშვილი იყო, მას სწავლა არსად მიუღია ადრე დაობლების გამო, თუმცა ნიჭიერი გარემოება ხელს უწყობდა, რადგანაც მამულშინაყმებით სხვა თავადიშვილებს არ ჩამოუვარდებოდა.

რვა წლის აკაკი მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიაში სწავლის დროს მან ბევრი ტანჯვა-წამება გამოიარა, რადგანაც მაშინდელი მასწავლებლები სწავლასა და ყმაწვილის ადამიანურათ აღზრდას იმდენათ არ აქცევდნენ ყურადღებას, რამდენათაც ყაზარმულ დისციპლინას. მაგრამ აკაკი ყოველგვარ გაჭირვებას ითმენდა მერვე კლასამდე, მერვე კლასი კი აღარ დაუსრულებია, თუმცა სულ რაღაც ოთხი თვეღა უკლდა. გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ ის წავიდა პეტერბურგში იმ განზრახვით, რომ სამხედრო სამსახურში შესულიყო. აკაკის უფროსი ძმა ამ დროს პეტერბურგში ხელმწიფის ამალაში მსახურებდა. სამხედრო სამსახურის ნაცვლად კაკი უნივერსიტეტში შესულა. მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტის სკამიდანვე იწყება. პირველი მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი“ 1860 წელში დაიბეჭდა „ცის კარში“. თუმცა ლექსებს წინათაც სწერდა. ამ დღიდან აკაკი ნელ-ნელა გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და თავისი ბასრი კალმით და მახვილი ენით ებრძვის უსამართლობას. ეს დრო ბატონ-ყმობის დრო იყო და მაშინდელ მწერალ-მოღვაწეს მეტი საფრთხე შინაურებისაგან მოელოდა, რადგან გლეხების ხურგზე გალაღებული თავად-აზნაურების წინააღმდეგ კრიტიკის დაძერა და მათი არა ადამიანური საქციელის მხილება ადვილი გასაბედავი არ იყო. მაგრამ ახალგაზრდა პოეტი არავითარ დაბრკოლებას და უსიამოვნებას არ შეუშინდა და ერთხელ არჩეული ეკლიანი გზის კაფვას მედგრათ შეუდგა. მაშინდელი რედაქტორები და თანამშრომლები ვინ მოსთვლის, რამდენ გაჭირვებას არ განიცდიდენ. ხშირათ ორასი ცალი გაზეთი ძლივს საღდებოდა მთელს აქართველოში. ამის გამო იძულებულნი იყვენ უფასოთ ეგზავნათ პროვინციებში, ოღონდ როგორმე ხალხი დაეინტერესებიათ და მათ გულში ახალი ცხოვრების ნაპერწკალი და სწავლის სურვილი ჩაენერგათ. ხშირათ იყო თურმე ისეთი შეათხვევა, რომ როგორც აკაკი, ისე სხვებიც მარტო პურზე და კიტრზე გადადიოდენ. ამას დაუმატე საზოგადოების უმეტესი ნაწილის მასხრათ ავდება, მტრობა და წარმოგიდგება იმათი მდგომარეობა!.. ხშირათ იცოდენდენ თურმე აკაკის მამას: „აფსუს როსტომ წერეთელო, რომ შენისთანა სახელოვან თავადიშვილს მესტვირე და ჩამომავლობის შირიებით მაგინებელი შვილი გამოუვიდაო“. მიუხედავათ ამისა აკაკის ხალხურის ენით ბუნებრივით დაწერილმა ლექსებმა ნელ-ნელა მიიზიდა ხალხი და მან მალე მოიხვეჭა ნიჭიერი მგოსნის სახელი. ამ 50 წლის განშავლობაში თითქმის არ გამოსულა ქართულ ენაზე ისეთი ჟურნალ-გაზეთი, რომ აკაკის მონაწილეობა არ მიეღოს შიგ. თანამშრომლობდა აგრეთვე რუსულ გაზეთებშიაც; მრავალ-რიცხოვან ლექსებს გარდა აკაკის დაწერილი აქვს რამდენიმე პოემა, პიესა და მოთხრობები. ამნაირათ მან მიაღწია მიზანს და ქართველი ხალხის გულში დაიდგა უკვდავი ძეგლი.

წელს, 9 ივნისს აკაკის შეუსრულდა 68, ხოლო მის სამწერლო მოღვაწეობას 50 წელი, რასაც ქართველი ერი ასე დიდებულათ და ერთსულოვნათ დღესასწაულობს. ჩვენც მიულოცოთ დიდებულ მგოსანს ბრწყინვალე დღესასწაული და ვუსურვოთ დღეგრძელი სიცოცხლე.

ს. თავართქილაძე.

ვაშა!.. აკაკის.

ვაშა პოეტს!.. ქართველ ერის
ჭმუნვარების სევდის მჭრობელს,
დუხჭირ ბედის, სიშავბნელის
მამაც მებრძოლს, ლახვრის მსობელს.

ვაშა მის ჩანგს, სიმთა წკრიალს
სულის გულის დამატკბობელს,
მის დაფ-საყვირს ზე აღდგომის
და მტრის ზარ-მცემ დამამხობელს.

ვაშა ორმოცდაათი წლის
დიად ღვაწლის გვირგვინოსანს
და სიცოცხლე კვლავ ხანგრძლივი
ჩვენს დიდებულ მხცოვან მგოსანს.

ვაშა, ვაშა!.. დიახ, ვაშა
მის ზეციურ ჩანგის ჟღერას
გაუმარჯოს ჩვენს ტკილ მგოსანს,
გაუმარჯოს მის სიმღერას.

გ. ჭუჩიშვილი.

ნაადრევი სიზმარი

(ფანტაზია)

დაუდგა თფილისს
დღე ბედნიერი ..
ბრწყინავს დარბაზი
ბჭე მშვენიერი
და მხიარულებს
ქართველი ერი...
სცენაზე უზით
უცხო ბებერი:
თავი ჰალარა,
სპეტაკი წვერი,
შუბლი მაღალი
და განიერი...
ის მგოსანია,
ქვეყნის დიდება,
ვითა ცოცხალი
სდგას ქანდაკება!
თითქო სულყველას
ენა დაება:
არ ისმის ძრახვა
და არცა ქება.
მაგრამ დაიწყო
დღესასწაული...
მოდის გვირგვინი
და სამკაული!
თაიგულები
კოხტათ დაწნული,
ძვირფასი ქუდი
შოთასეული,
ზედ ფრთა ორბისა
ჩამობნეული!
ია და ვარდი
ნაზათ რხეული
იატაკზედ
მიმობნეული.
გამოდის ვინმე
უცხო ქაბუკი,
და ერიქონის
ვით საყვირ-ბუკი
აუწევს ხმასა
ძალა აქვს თუ კი
რომ დაუკმიოს
მოხუცს გუნდრუკი...
ათავებს... მას სხვა
შეეცილება,
უმეტეს ტურფა
ნაზი ქმნილება,
თვალ-წარბ გიშერა,
ბროლის კბილება
მორცხვობს, არა აქვს
გამოცდილება.
სთქვა რა სათქმელი
დაუკრა თავი
მყისვე გამოჩნდა
სხვა სანახავი.
ქულაჯით მორთულ
მონაკაზმავი,
ულვაშებ ნაგრეხ
გადანაწნავი...
ამაყ-მრისხანე
ვით არწივ-სვავი
(რა კაცი იყო
მამცნო ნეტავი!!!
ალბათ გრაფია
ან ერისთავი!.)
მიუახლოვდა
მტკიცე ნაბიჯით,
არ იცქირება
ის აქეთ-იქით,
მაგრამ მეტყველებს
დინჯათ და რიხით.
თავადს სხვა მიჰყვა,
სულ სხვა წოდების,
ერთი შეხედვით
შეგეცოდების...
გვირგვინი გვირგვინს
ეწყობ ედების,
და შოთას ქუდი
(ქართველ დედების)
მწვანეთა გროვას
წამოედების.
რა და რა გვარი
სიტყვა ითქმება,
ენით ხომ არც კი
გამოითქმება!
უცქერს მგოსანი
ყვავილთა კალოს,
აღარც კი ძალ-უძს
გადაითვალოს
და მოწყენილი
თვალ ცრემლიანი
მიმართავს კრებულს
ის ტკბილ ხმიანი:“
„პატიოსნებო
ყრმა-ბატონებო
ძვირფასნო-ქალწულ
ქალბატონებო!
არა ვარ ღირსი
ესოდენ ძღვენის
ეგ საჩუქარი
სხვას უფრო შვენის...
მე მესმის ფასი
ტოტების მწვანის,
საგაზაფხულო
გრძნობის მომყვანის,
მე მატკბობს თქვენი
ტურფა გალობა,
მაგრამ მაკმარეთ,
მიყავთ წყალობა!!!
მეყოფა მწვანე
რაც მომილოცეთ,
ახლა გთხოვთ იმის
შეძლება მომცეთ,

რომ აგი ვექსილ
თამასუქები,
არ მჭონდეს მუდამ
შემაწუხები!“
აქ გამელვიძა
მოულოდნელათ...
თუმცა სიზმარიც
მეზმანა გრძელათ,
ხალხი კი ახლა
ემზადებოდა
დღესასწაულის
გადასახდელათ.

ჩიტი.

უმაწვილობის მოგონებიდან

(აკაკის იუბილეს გამო).

მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ
ხელში წიგნი ჩამივარდა,
წავიკითხე, შევისწავლე,
მომეწონა, შემიყვარდა.
იგი წიგნი საუცხოო
ლექსათ იყო დაწყობილი
და ამბავი სანატრელი
მასში იყო მოთხრობილი.
სწორედ იმ დროს, ბავშვობისას,
როს მეტია სისხლის ჩქროლა,
მე მიყვარდა წიგნი, სადაც
აწერილი იყო ბრძოლა.
ომის გმირებს მე ვეტრფოდი,
ხშირად მათ თავს ვადარებდი,
გულმა დარდი არ იცოდა:
ოცნებობდი, ვნეტარებდი!
შემიყვარდა „ორბელიძე“,
როგორც გმირი, როგორც კაცი:
ულაწორასთან ლომბეერი,
თანასწორთან ფიცხ-ბამაცი:
როს ამბავი მის სიკვდილის
მე წიგნში ამოვიკითხე,
გულზე ძმარი გადამეღვარა,
ჯავრმა გამაშეშა, ვით ხე.
მაინც მწარე ეს პირობა
არ დავსწყვეტლე, არ ვაგინე
და ის გმირი, ვით ცოცხალი,
ოცნებაში აღვიდგინე!
მასთან ერთად შემიყვარდა
მე თორნიკე ერისთავი,
გაჭირვებულთ სახსნელად რომ
გაიმეტა თავის თავი;
თუმც ის ომში არ მომკვდარა,
დაამარცხა მძლავრი მტერი
და მე დღესაც მგონია, რომ
ათონშია იგი ბერი!..
მაგრამ მეტად სუყველაზე
შემიყვარდა მე ის ჩანგი,
რამაც შექმნა და გვასმინა
იმ სიმღერის ტკბილი ჰანგი.
ვეძახოდი მას აკაკის,
ვინ იყო კი,—არ ვიცოდი,
მიყვარდა და მეგონა, რომ
ნახვის ნატვრით დავიწოდი.
ამ გულწრფელმა სიყვარულმა
მე მგოსანი გამიღმერთა
და მის ძლიერ ჩანგის ყღერას
ჩემი —სუსტიც შეუერთა!..

—

ჟამმა განვლო... მე ცხოვრებამ
თვის ბრეკალებში ჩამიმწყვდია,
მან ულელი ორკეც მძიმე
ამ ჩემს ქედზე დააკდია...
აი, ამან განასხვავა
მგოსანისას ჩემი მღერა,
თორემ გრძნობათ სამთავროში
ჩვენ ერთი გვაქვს გულის ძგერა!..

ნ. ზომლეთელი.

გურული სცენა.

— გამარჯობა ესიკავ, სა მირბი?

— აგი არ იცი შე განიპებულო; სა შივალ და კლასში.

— რა დროის შენი კლასია ძმავ, რა ყბას იქცევ?

— დღეს ძამიავ თფილისში აღდგომის სტორი დღეია, დღეს აკაკის, რომელიცხა აკაკის გიჩივი, ხომ მიხთი, აკაკიეი ჯინეარაძე არ გეგონოს, წერეთელს მოგახსენებ, დღეს შესრულდა ჩემო ძამია სწორეფ ორმოცდა ათი წელიწადი მას მერე, რაც მან ლექსების წერა და ქვეყნის სამსახური დეიწყო. წამოი შენც კლასში, დღეს იქინეი დიდი ამბავი იქნება, უჩიტლებიც და ბაღნებიც წეიკითხვენ აკაკის ლექსებს.

— წამუალ, აბა რას ვიზამ —კაი თავი აგიგდია შენ თუ ფიქროფ, ესიკამ წიგნი არ იცის და იმიზა აფერი ესმის ქვეყნისო, ვერ მოგართვი პატრიჯანი —თუ გინდა ვიშაიროთ აკაკის ლექსებით, რას მოჭცევ რომ შვაგზაზე დაგტიო. მისი სურათი ხატათ სასტუმალს მისვენია,—გავარდა ბურთი, გაშბა გურული, მე კი არა ჩემო ბიძია, ჩემი ხვარამზაი რომაა აკაკის ლექსებს იგიც კი აღიღინებს ჩეგურზე. ჩემი ციცაი რომაა, პარკი რომ გაყიდა კაბის ყიდვას დიეთხოვა და გიტარა იყიდა; მოსდგება ორშაბათ დღეს და აღიღინებს, საყვარლის საფლავს ვეძებდიო—პაწეი კი მწყინავს ორშაბათ დღეს რომ აცდენს მარა რა უყო, ყველაი მისი კბილა ციცაები ასთე შობა და იგი ვისი ტულუშია ვითამ. როიცხა ღმერთმა იბრიანა და ბიეი დამებადა, ციცამაც, დედა მისმაც ეიჩემეს და აკაკი დამათქმიეს ბაღანაიზა—ტრაბახობა რა საკადრისია, მართალია ჯერ აკაკის აფერი სცხია, მასავით ლექსებს ვერ სწერს, მარა მის ნაწერს ისე კარგა კითხულობს ზეპირათ, რომ მუცელზე კანი არ შეგრჩება...აცოცხლა ღმერთმა, კაცი იგია თვარა მე რა ვარ, ცოცხალი ვარ ვინ მახსენებს გარდა გადასახადისა, წავკტები და ჩამაგდებენ ჯიკვსავით საფლავში.

— რა მიკვირს ესიკავ იცი, კაცი ორმოცდა ათი წელიწადი სიმართლეს წერდა და ემსახურებოდა და რაფერ დიეშართენ აგი, რომ ამდენ ხანს რიეზა ვერ გააიმბირეს, აა?

— დაპირვით რავაც გამიგონია, ბევრი გზობა დეიპირეს თურმე და ისე დასაწვავი აფერი გაჩნია თვარა ქე დუუდანდარებდენ.

— რავა, ღარიბია ნეტაი?

— რაიზა უნდა ბიძია ქონება, ცა ქუდათ არ მიაჩნია და დეღამიწა ქალაბნათ.

პიტნა.

მესტვირული.

გამარჯობა ჩემო სტვირო,
გამარჯვება ჩემო გუდა,
რომ ცხოვრებამ უკუღმართმა
ჯერ კილო ვერ გაგიმრუდა...
ხედავ, მგოსნის იუბილე,
როგორ თვალწინ აგვეყუდა?
მაშ, გვაჩვენე, გენაცვალე,
თუ ღიღინი როგორ უნდა,
„მათრახი“ ხომ აღარა გვაქვს,
უდროვო დროს მოგვიდუნდა),
ძველი დრო და ადათები
დამატებით მოგვიბრუნდა...
დღეს, როს მაჯეს ცხოვრებისას
აღარ უცემს საფეთქელი,
როს დაფერფლდა აღტაცება
და დამუნჯდა სიტყვა მშველი,
როცა თითო მოქალაქეს
გვერდში უდგას თითო „მცველი“,
როცა ბლევეს მართველობაც
კი შეგვექნა სანატრელი,
როს გამრავლდა მოძმეთ შორის
საქმე ფლიდი, სიტყვა ტრელი,
ენა ტკბილათ მოუბარნი
და გულღვარძღნი, როგორც გველი...
როს არ ინდობს გასაწირათ
ძმა ძმასა და შვილს მშობელი,
მეგობარსა-მეგობარი და მეზობელს მეზობელი,
როცა ტანჯულ უბედურთა
არა შრება თვალზე ცრემლი,
და მუდმივი გასაჭირი
თავში ურტყამს, როგორც გრდეშლი,
არა მჯდომა იქ დღეობა
მთელის გრძნობის გამომთქმელი,
გინდ აკაკი აიყვანეთ,
გინდ თვით შოთა რუსთაველი.
და თუ სიცილ-სიხარულსა
არ წარმოშობს გულის ძირი,
გულში სევდა თუ ტრიალებს
და გიცინის მხოლოდ პირი,
რას მიქვია იგი შვება
ცრემლით ნაბან დანატირი,
სასიმღეროს ვერ დაუკრავს
მგლოვიარე ჩემი სტვირი.

მესტვირე.

მგოსანი აკაკი წერეთელი.

დღეს 50 წელი შესრულდა, რაც აკაკი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდა. 50 წელი, საზოგადო მოღვაწისათვის მეტის-მეტად თვალსაჩინო მანძილია ცხოვრებაში. მეტადრე მგოსნის გრძნობიერი არსება იშვიათად უძლებს ამდენი ხნის მუშაობას, მალე იღლება, დუნდება მისი გატაცებული ბუნება და სამუდამოთ ეთხოვება წუთი სოფელს. ჩვენ-და სასიქადულოთ აკაკის ბედმა ეს ხვედრი ააცდინა: ის ჯერ კიდევ მამაცურად გამოიყურება და იმედია კიდევ კარგა ხანს იქნება სამშობლო ლიტერატურის დამამშვენათ.

დღეს მთელი ქართველი ერი განურჩევლად მიმართულებისა, წოდებისა, სქესისა და სარწმუნოებისა, ისწრაფვის პატივი სცეს უკვდავ ნიჭს, შესწიროს სამღვთო ზვარაკი იმ წმინდა ტაძარს, რომელსაც ორმოცდა ათი წლის განმავლობაში აკაკი ისე მხურვალეთ უნთებდა ლამპარს,—და მით დაამტკიცოს თავისი მომწიფება და ნიჭი კულტურული მუშაობის დაფასებისა.

ბევრს სხვადასხვანაირათ ესმის აკაკის მოღვაწეობა და უნდა ითქვას მართალი, რომ აკაკის მოღვაწეობას მართლაც სხვა და სხვა მხარეები აქვს. ჩვენ აქ შევეხებით და აღვნიშნავთ მხოლოთ იმ უდიდეს ღვაწლს რაც მან შეიტანა ქართულ ლიტერატურაში ენისა და პოეზიის მხრით.

აკაკის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა,—ეს ახალი ხანაა ჩვენს ლიტერატურაში: აქედან იწყება ქართული ენის გარდაქმნა. დ. გურამიშვილი, ბესიკი, ა. ჭავჭავაძე, უკვდავი ბარათაშვილი, ორბელიანები, თვით ი. ჭავჭავაძეც კი—ეს დედაბოძნი ახალი ლიტერატურისა—ვერ განთავისუფლებულან ძველი ენისაგან, რომელსაც რაღაც შეცდომით „ლიტერატურულს“ ეძახდენ. გავრცელებული იყო საზოგადო აზრი, რომ სიმშვენიერის გამოხატვა, პოეზიისადმი სამსახური შეუძლებელია უბრალო ხალხური ენით. აკაკიმ გამოსვლისათანავე დაჰკრა ამ ცრუ წრმენას მოსეს კვერთხი, გააპო ის და ჩვენს ლიტერატურაში გაამეფა უბრალო და იოლათ გასაგები ხალხური ენა იმერული კილოს გადაკვრით. ახალ ენაში აკაკიმ მაშინდელი დროისათვის ახალი შინაარსი გაახვია, სახელდობრ ბატონყმობისაგან განთავისუფლების იდეა. პოეზიის გაგება და აზროვნება, რაც დღემდის მხოლოთ რჩეულია კუთვნილებას შეადგენდა, დღეს გახდა ყველა მსურველთათვის ხელმისაწდომი, რადგან ის უბრალო ხალხური ენით იყო გამოთქმული. ძველი წყობილების და რწმენის შერყევა ასეთნაირათ, ეჭვი არ არის, არ ეამებოდათ მაშინდელ ლიტერატურის ქურუმებს და კიდევაც გაილაშქრეს აკაკის წინააღმდეგ *), მაგრამ ამაოთ. ახალ ლიტერატურას ახალი ენა ეპირვებოდა და ამ ენის შემქნელი აკაკი დღითი-დღე იხვეჭდა ხალხის სიყვარულს და მის სიმპატიას. თვითეული მისი ლექსი ელვასავით ედებოდა საქართველოს ყოველ კუთხეს, იმერეთ-ამერეთს, და უმზადებდა მგოსანს საერთო სიყვარულის გვირგვინს.

თანამედროვე ცხოვრების ნაკლთა გაკიცხვა, თავისი იდეალის საუცხოოთ დახატვა, უმაღლეს პოეზიის სამეფოში შეტოპვა და განავარდება, ძლიერი და უმწიკვლო სიყვარულის გამოხატვა—ყველა ეს აკაკის ისე ადვილათ და სხარტულათ ეხერხება, რომ ბავშსაც კი შეუძლიან აუხსნელათ გაიგოს მისი ნაწერი. მისი შნოიანი სტილი, მისი მსუბუქი და ხერხიანი ენა მართლა გაგამეორებინებს მკითხველს მისსავე სიტყვებს:

„სიტყვა აზრს თანხმობს, აზრი ლექსთ წყობას,
ყველა კი ერთად—სულსა და გულსა,
და წამკითხველიც დამწერს უჯერებს,
ვით წინამორბედს და მოციქულსა!“

ამ „ენის დიდებულ მოხელეს“ წილათ ხვდა პატარა ერის მგოსნათ ყოფნა. ის მეტათ დაჩრდილა ცხოვრების წვრილმანმა პირობებმა. ხშირად ხედავ, რომ აკაკი თავის ნაწარმოებში ხან უმწვერვალეს სიმაღლემდის ადის, ხან კი მისი ნიჭი თითქო იბოჭება, წვრილმანდება და იხუთება.

მაგრამ სულ სხვაა პოეტი, როცა ის ეხება თავის სანუკვარ საგანს, საქართველოს წარსულს. ჩვენი სამშობლოს განვლილი ისტორია აკაკის დიდ მასალას აძლევს თავის ოცნების ასათამაშებლად და იდეალების შესაქმნელათ. აქ ის უბადლოა, აქ ის გრძნობს თავს მეფეთ და მისი პოეტური ნიჭიც მთელი სიგრძე-სიგანით იშლება.

სამწუხაროთ ამ პატარა წერილში ჩვენ ვერ შევუდგებით აკაკის ყველა ნაწარმოების სავსებით დაფასებას. ვიტყვით მხოლოთ გაკვრით ზოგიერთებზე.

მის „თორნიკე ერისთავში“ არის ადგილები, რომელიც სახელს გაუკეთებდა მსოფლიო პოეტებსაც კი. საუცხოო ენისა და მაშინდელი ქართველების ზნე-ჩვეულების აწერის გარდა, ამ ნაწარმოებში თქვენს ყურადღებას მიიქცევს სამი სურათი: პირველი—ბუნების აწერა ომის დაწყების წინ. ბუნების სიმშვენიერისა და ადამიანის მხეცური საქციელის ერთმანერთთან დაპირდაპირებით მგოსანი გაგრძნობინებს მთელს იმ დანაშაულობას, ბუნების საიდუმლოების დარღვევას, რასაც იჩენს ადამიანის გაუმაძღარი და სულუხსარი თვისება. მივმართოთ პოეტის სიტყვებს:

„ვითა ეთერი, მზეთ უნახავი,
საყვარლის მლოდნე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედ კაშკაშით თრთოდა
და ფერ მიხდილათ ნათელ ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლულა,
ჯამსჭვალულიყო მისი თანგრძნობით
და უგალობდა „ცაურ ნანინას“
საიდუმლო და უცნაურ გზობით.
სუნნელთა მფენი ლილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი,
ბანსა აძლევდენ ღვთიურ ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთა ძალი.
ციური ნიჭის მისადებელათ
ვარდმა კოკობმა თავი დახარა;
ცრემლათ დაეცა გულზე მანანა,
ააელფერა და გაახარა!..
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურათ იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა.
მაგრამ ამა დროს საზარელი ხმით
უცბათ რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა:
შეიქნა ბუკის, საყვირის ცემა,
ატყდა ჭიჭყინა ზურნის საზარი...
აჰა, თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლათ ორივე ჯარი!“

ამ ადგილის წაკითხვის შემდეგ ვინ არ იგრძნობს, რომ ომი და სისხლის ღვრა არღვევს ბუნების ჰარმონიას, მის კანონს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამას ადამიანი ჩადის მოფიქრებულათ, წინასწარ გამოანგარიშებით და გაუმაძღრობით.

მეორე სურათი თვით ომის აწერაა. მოვიყვან მხოლოთ ადგილებს:

„ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველი კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოდ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა...
გახურდა ბრძოლა, გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...
აჰა, ამოდის მხიარულათ მზეც,
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება!“

*) იხ. გრ. ორბელიანის „აკაკიებო, ბაკაკიებო, რიონელებო, კუდაბზიკებო“ და სხვ.

დიახ, სისხლის ღვრას და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას ბუნების სიმშვენიერესთან არავითარი კავშირი არა აქვს და ამიტომ არის, რომ მზესაც „მომაკვდავთ კვნესა“ არ ეყურება.

„კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახა-ჩუხის ხმა გულ-საზარი
არეულია და ფეხით გაქვთ
ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი“.

ყველა ამას ჩადის ქმნილებათა გვირგვინი—ადამიანი.

პოეტს არ დაავიწყდა მოეხსენებია ძველი დროის რაინდული ჩვეულება ომის დროს. მართლაც ხშირი იყო ძველათ ბრძოლის დროს გმირისაგან სულგრძელების გამოჩენა და ეს ჩვეულებაც საუცხოვოთ ასწერა აკაკიმ. მისი სულგრძელი და ლმობიერი გმირი ამ ბრძოლაში უთუოდ ქართველი უნდა ყოფილიყო, რადგანაც აკაკი ძველი ქართველებისადმი გულგრილათ არ არის. გახურებული ბრძოლის დროს სომხების წინამძღოლი, გმირი აფრანიკე, გამოითხოვს დავლურში ქართველების გმირს ორბელიძეს.

„აგერ მხედარმა, შავით მოსილმა,
გამოახტუნა მერანი მინდვრათ,
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა მან მედიდურათ:
„სად ხარ, გამოდი, ნუ იმალები,
[illegible] რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
[illegible]ანიკ მქვიან, შენისთანები,
იცოდე ბევრი დავამიწეო!
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკისკასე და მკლავის ძალიო.
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნუღარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!“

ხმალსისხლიან ორბელიძეს ეს სიტყვები შემოესმება თუ არა, სიხარულით გაექანება აფრანიკესკენ, რომლის პირდაპირ ბრძოლაში შეყრას დიდი ხანია ნატრობდა, და თამამად უპასუხებს:

„...გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდესთ თქვენი ნებაო!“

თავგამეტებით შეებრძოლებიან ერთმანერთს, მაგრამ აფრანიკს ბრძოლის დროს ხმალი გაუტყდება, დაეცემა თავზარი და აღარ იცის რა ქნას, „იდგა უძრავათ ვით ცოცხალ-მკვდარი“.

„გმირთა წესია ლმობიერება,
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
[illegible]ლა და ასე უთხრა:
[illegible] გეშინიან! ხმლიანი უხმლოს
[illegible] გეჭიდო,—არ მეკადრება,
[illegible] თანსწორი იარაღითა
[illegible]ჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანერთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“
მაგრამ აფრანიკ ყურს არ უგდებდა.
მარდათ, უეცრად ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააქენა!“

მესამე—ეს ომის შემდეგი სურათია. ასეთი სურათის დახატვა მართლა გენიალურ ნიჭს შეუძლიან. აქ პოეტის ფაქიზი გონება ვერ იტანს ადამიანის სისაძაგლეს, ამდენი სიცოცხლის მოსპობას, და ის აღარ ზოგავს თავის სულიერ ძალას, რაც შეიძლება მკაცრათ დახატოს ომის შედეგი. აქაც ღამის მშვენიერ მიწყნარებულ ბუნებას მთვარე შუქს მოჰფენს... მაგრამ ვაი, რომ ადამიანის წინ გადაიშლება შესაზარი სანახაობა.

...„მხოლოთ უცდიდენ მთვარის ამოსვლას
და ჰა, მთვარემაც ამოატანა.
ამოჰყო თავი მაღლა მთის წვერით
და გადმოხედა ნაზათ ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათა და გამოაჩინა
დასანახავი გულ შესაზარი,
თითქოს უნდოდა ეჩვენებინა
კაცისთვის ბოროტ ნამოქმედარი.
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია
ხეობა, ღელე, ტყე და მინდორი...
ვისი სიცოცხლეც დილას ყვაოდა,
ეხლა შეიქნა ლეში და მძორი!

ასეთი გულშემზარავი სურათი აწერილია შემდეგ ორ გვერდ-ნახევარზე და მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს მას თვით წიგნშივე. აქ მგოსნის ნიჭს ველარაფერი აჩერებს, ველარაფერი ბოჭავს და ის თავისუფლათ მოსთქვამს კაცობრიობის სიბოროტეზე. და ყველა ეს ისეთი უბრალო და მკაფიო ენით აქვს აკაკის დაწერილი, რომ, ვამბობ, უბრალო ბავშიც კი გაიგებს.

თავის იდეალებს აკაკი წარსულში გვიხატავს და გვიხატავს ისეთი სიძლიერით, რომ ძალაუნებურათ მიგაბრუნებს წარსულისაკენ და ცდილობს მასთან ერთად თაყვანი სცე წარსულ გმირებს. მეფე, ღვდელი, ბერი, სარდალი, მეომარი, მეტადრე ქართველი ქალების ტიპი,—ესენი საუცხოვოთ ყავს აწერილი აკაკის საქართველოს წარსულში.

აკაკი ხანდახან შრომასაც უგალობს,—თუმცა უნდა ითქვას, ძალიან სუსტათ მის ნიჭთან შედარებით. მისი „ჯეჯილი“, „ყანა“, „სიმღერა მკის დროს“, „მუშური“ და „მუშის ნატვრა“ სამაგალითო მუსიკალურ ნაწარმოებს წარმოადგენენ და საინტერესო უფრო სტილის მხრით არიან, ვიდრე აზრისა.

აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ერთი ადგილი საუცხოვო პოეზიისა „პატარა კახიდან“ სალამურის შესახებ:

„გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით, დამუქრებული,
მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის
მწარე ანბავი და საჩივარი,
მაგრამ ამავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,
გადაეღუნოს, გადმოეღუნოს
და მოეთხაროს ის ძირიანა;
მერე ენახოს მწყემსს წაქცეული,
ხელში აელოს პატარა დანა
და გამოეჭრას მას სალამური,
რომ მოწყენის დროს სული ჩაბეროს,
და მთადა ბარის დასაცკბობელათ
კვლავ ააკვნესოს და აატიროს...

აკაკის გარდა შეუძლიან ვისმეს ასეთი გრძნობა, ასეთი აზრიანი პოეზია გამოხატოს ერთ წინადადებაში? სალამურის მკვნესარი ხმა, ეს მემთაბრეთა უმწიკვლო მუსიკა, ხმა ყოფილა უსამართლობისა, რომელიც ლერწამს უნდა აეტანა ზეცამდის...

სიყვარულის გამოხატვაში, მეტადრე სამშობლოსადმი, მგოსანს ბადალი არ ყავს. მისი პატარა ლექსი „განთიადი“ ამ მხრით ობოლი მარგალიტია ჩვენს ლიტერატურაში. ამ ლექსში მთლათ იხატება აკაკის არსება. უმწიკვლო, სუფთა, ბავშური სიყვარული მამულისადმი მხოლოთ სულით და გულით ამ სიყვარულით გამსჭვალულ ადამიანს შეუძლიან და სწორეთ ასეთი არის აკაკი. რა ჯილდოს ითხოვს პოეტი ამ სიყვარულისთვის მამულისაგან?

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა ფიროუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

რასაკვირველია, აკაკის თავისებურათ ესმის სამშობლოს სიყვარული, მაგრამ ეს ხომ რწმენის საქმეა, რომელიც პირობათა ზეგავლენის ქვეშ შემუშავდება ხოლმე.

აი, ასეთი მოღვაწის დღესასწაულია დღეს. ამას ვეგებებით სულით და გულით ჩვენც, ვაფასებთ მასში დასაფასებელ მხარეს და ვუსურვებთ დღეგრძელობას სასიქადულო „მეშსხვერპლეს წმიდა ტაძრისას“.

ფ. რუშაველი.

ა 402
1908

ერთი ღამე მეტეხში.

(აკაკის ახლო წარსულიდან).

1907 წლის პირველ რიცხვებში გამოვიდა პირველი იუმორისტული გაზეთი „ხუმარა“ აკაკის რედაქტორ-გამომცემლობით. ამ დრომდე არსებობდა მხოლოდ გაზ. „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, რომელშიაც კარიკატურების გარდა იუმორისტული შინაარსისა თითქმის არაფერი იბეჭდებოდა.

გაზეთი „ხუმარას“ ისეთი არა სახუმრო დრო შეხვდა, რომ პირველ ნომერზედვე მოესპო სიცოცხლე და მისი მოხუცი რედაქტორი „დამცველთა“ რაზმის თანხლებით მეტ[illegible] ხისაკენ გაუძღვნეს. საბედნიეროთ აკაკი დიდ ხანს არ დარ[illegible] ნილა სატუსაღოში, რადგან მეორე დღესვე განთავისუფლ[illegible] ბულ იქმნა. აქვე მოყვანილი კარიკატურა-სურათი გამოხატავს მგოსნის მეტეხისაკენ მგზავრობას და დაბეჭდილი იყო ალმანახ „მასხარას“ № 2.

ამ ხან-მოკლე სტუმრობით აიხსნება ალბათ ის მოვლენა, რომ ჩვენი მგოსნის კალამი არ შეხებია იმ ტანჯულთა მწარე ბედს, რომლებმაც ალტაცებით გამოაცილეს მოხუცი მეტეხის ციხიდან.

თქმულებანი აკაკის შესახებ.

გაცრუებული იმედი.

ერთხელ თურმე, აკაკის ოთახში ქურდი შეძვრა. აკაკის არ ეძინა, მაგრამ თავი მოიმძინარა. ქურდმა ერთგულად გასინჯა ყველაფერი, სადაც კი რისამე პოვნის იმედი ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ბოლოს გაბედა, ბალიშ-ქვეშაც შეეყო ხელი; აქ ვეღარ მოითმინა მგოსანმა და ყურში ჩაუჩურჩულა:

— როგორაა საქმე, ვერაფერი იპოვეო?

ჭირვეული თამადა.

ერთხელ აკაკი ვიღაც თავადს ეწვია სადილათ. თამადამ ჩვეულებისამებრ, მგოსანსაც დააძალა ღვინო: გინდა, არ გინდა, უთუოდ უნდა დალიოვო. აკაკის უარი უყურადღებოთ იქნა დატოვებული და ყანწის მოხელე თავადმა ურჩობისათვის ღვინო კისერში ჩაასხა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავ თავადს აკაკისთან მოუხდა სტუმრობა. მგოსანმა ის მიიწვია საწერ სტოლთან და სთხოვა ერთი ლექსი დაეწერა. თავადი ძლიერ გაოცა ამ წინადადებამ.

— აბა, რომელი მწერალი მე ვარ, ლექსები ვსწეროო, — მიუგო მან.

— არ შეიძლება. უთუოდ უნდა დამიწეროო, — გაჭირვეულდა მგოსანი, — რა დიდი საქმე უნდა ერთი პატარა ლესის დაწერასო.

თავადი კი გადაჭრილ უარზე იდგა.

— მაშ, რაკი ლექსს არა სწერ, აი შენი ჯილდოო, და მელნით სავსე საწერელი კისერში მოუპირქვავა.

მადლობა უფალს!

იუბილეს წინასწარ დღეებში პატივისმცემელთა ერთმა ჯგუფმა აკაკი სასტუმროში, ნადიმზე მიიწვია. სადილს სხვა-და-სხვა ნაციის წარმომადგენელნი დაესწრენ და დღეობამ მხიარულადაც ჩაიარა. ნადიმის შემდეგ, სომხისა და თათრის მწერალნი ერთმანეთს შეეცილენ პალტოს მირთმევაზე. აკაკიმ შეხედა ამ სურათს, აღაპყრო ხელები მაღლა და წარმოსთქვა:

— გმადლობ შენ უფალო, რათა მომასწარ იმ დღეს, როცა სომხები და თათრები პალტოს კი არა მხდიან, არამედ მაცმევენო.

იყიდება

„შრომის“ სტამბაში და აგრეთვე ყველა პროვინციელ აგენტებთან იუმორისტული ჟურნალების კომპლექტი:

„ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი . . . 1 მ. 30 კ.

„ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წ., 35 ნომერი, ერთათ შეკერილი. . . . . 2 მ. 50 კ.

„ზუამავალი“ 1907 წ. 8 ნომერი — — 80 კ.

„შურდული“ „ „ 3 „ — — 15 კ.

ვინც ყველა ნომრებს ერთათ იყიდის — 4 მ. —

გამოწერა პროვინციებიდანაც შეიძლება და გაეგზავნებათ ვინც წინდაწინ გამოგზავნის ლ[illegible] ბულ ფასს.

იმ აგენტებს, რომელნიც რამოდენ[illegible] ერთათ დაიკავებს დაეთმობა 25 პრ[illegible]

ადრესი: Тифлисъ, типографі[illegible] Теофилу Ерастовичу Болквадз[illegible]

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შ რ ო მ ა“ რუსის ქ. სახლი სომხ. სემინარიისა № 3.

გამომცემელი ალ. მ.[illegible]ძელ[illegible]